

სს ლიბერთი ბანკის რისკების კომიტეტის დებულება

წინამდებარე დებულება განსაზღვრავს სს „ლიბერთი ბანკის“ (შემდგომში „**ბანკი**“) რისკების კომიტეტის (შემდგომში „**კომიტეტი**“) მუშაობის ძირითად პრინციპებს, მიზნებს, ფუნქციებს, უფლებებსა და ვალდებულებებს და „ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს (შემდგომში „**სამეთვალყურეო საბჭო**“) მიერ „კომიტეტზე“ დელეგირებულ უფლებამოსილებას, ზედამხედველობა გაუწიოს რისკებთან დაკავშირებულ საკითხებს, „ბანკის“ საქმიანობაზე ზეგავლენის მქონე რისკების იდენტიფიცირების, შეფასების, მართვისა და მიტიგაციის პროცესებს.

1. წევრობა

- 1.1. „კომიტეტი“ დაფუძნებულია „სამეთვალყურეო საბჭოსთან“ და შესაბამისად, ანგარიშვალდებულია „სამეთვალყურეო საბჭოს“ წინაშე;
- 1.2. „კომიტეტი“ შედგება არანაკლებ 3 (სამი) წევრისგან, რომელთა უმრავლესობა უნდა წარმოადგენდეს „სამეთვალყურეო საბჭოს“ დამოუკიდებელ წევრებს;
- 1.3. „კომიტეტის“ თავმჯდომარეს (შემდგომში „**თავმჯდომარე**“) ირჩევს „სამეთვალყურეო საბჭო“ „კომიტეტის“ შემადგენლობიდან იმის გათვალისწინებით, რომ „თავმჯდომარე“ უნდა იყოს „სამეთვალყურეო საბჭოს“ დამოუკიდებელი წევრი და იმავდროულად, არ უნდა იყოს „სამეთვალყურეო საბჭოს“ ან/და სხვა რომელიმე კომიტეტის თავმჯდომარე. „თავმჯდომარის“ ან/და მისი მოადგილის არყოფნისას „კომიტეტის“ დამსწრე წევრები ერთ-ერთ წევრს ირჩევენ სხდომის თავმჯდომარედ;

2. „კომიტეტის“ სხდომა და ქვორუმი

- 2.1. „კომიტეტის“ სხდომა უნდა გაიმართოს არანაკლებ წელიწადში ორჯერ. გარკვეულ შემთხვევებში მოიწვევა „კომიტეტის“ რიგგარეშე სხდომა;
- 2.2. სათანადო წესის დაცვით მოწვეული „კომიტეტის“ სხდომა, რომელზეც შემდგარია ქვორუმი, უფლებამოსილია განახორციელოს მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები. „კომიტეტი“ გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია „თავმჯდომარის“ ხმა;
- 2.3. „კომიტეტის“ სხდომა, როგორც ნახევარწლიური, ისე რიგგარეშე, მოიწვევა „ბანკის“ უმაღლესი მენეჯმენტის წევრის, „კომიტეტის“ წევრის, ან მათი მოთხოვნით ნებისმიერი პირის მიერ;
- 2.4. „კომიტეტი“ საკუთარი შეხედულებისამებრ ირჩევს სხდომის მდივანს (შემდგომში „**სხდომის მდივანი**“);
- 2.5. თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული, „კომიტეტის“ სხდომის მოწვევის შესახებ შეტყობინება უნდა გაეგზავნოს „კომიტეტის“ ყველა წევრს სხდომის გამართვის თარიღამდე არანაკლებ სამი დღით ადრე;
- 2.6. „კომიტეტის“ სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს სატელეფონო, ვიდეო კონფერენციის ან სხვა ელექტრონული კავშირის საშუალებების გამოყენებით;
- 2.7. შეტყობინება, სხდომის დღის წესრიგი და სხდომის ჩასატარებლად საჭირო მასალები შესაძლებელია ასევე გაიგზავნოს ელექტრონული სახით;

2.8. „კომიტეტის“ სხდომის ოქმს ადგენს „სხდომის მდივანი“ და „თავმჯდომარესთან“ ერთად ხელს აწერს მას. ინტერესთა კონფლიქტის ან სხვა პატივსაცემი მიზეზის არსებობისას სხდომის ოქმის ხელმოწერის დელეგირება შესაძლებელია განხორციელდეს „კომიტეტის“ ნებისმიერ სხვა წევრზე.

3. „კომიტეტის“ სხდომაში მონაწილეობა

3.1. „კომიტეტის“ სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ მხოლოდ „კომიტეტის“ წევრებს. მიუხედავად ამისა, „ბანკის“ რისკების დირექტორი (შემდგომში „**რისკების დირექტორი**“) მოწვეულ უნდა იქნას „კომიტეტის“ ყველა სხდომაზე დასასწრებად. აუცილებლობის ან მიზანშეწონილობის შემთხვევაში, „თავმჯდომარის“ თანხმობით სხვა პირები ასევე შესაძლოა მოწვეულ იქნან „კომიტეტის“ სხდომაზე დასასწრებად;

3.2. იმ შემთხვევაში, როდესაც „კომიტეტის“ მიერ განსახილველი საკითხები შეიცავს ისეთ საკითხს, რომლის მიმართ „კომიტეტის“ წევრს გააჩნია დადასტურებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი, ასეთი წევრი არ იღებს მონაწილეობას მასთან დაკავშირებული საკითხის განხილვაში ან/და გადაწყვეტაში და შესაბამისად, აღნიშნული წევრის ხმა არ იანგარიშება „კომიტეტის“ სხდომაზე ქვორუმის დათვლისას.

4. „კომიტეტის“ ფუნქციები და ვალდებულებები

4.1. რისკების მართვა და რისკებთან დაკავშირებული საკითხები

4.1.1. „კომიტეტი“ ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

- i. განიხილავს და ზედამხედველობას უწევს რისკის სტრატეგიებს და რისკის აპეტიტს, მათ თანმიმდევრულობას და შესაბამისობას „ბანკის“ სტრატეგიასთან, კაპიტალთან და ფინანსებთან დაკავშირებულ გეგმებთან და „სამეთვალყურეო საბჭოს“ წარუდგენს შესაბამის რეკომენდაციებს;
- ii. ზედამხედველობას უწევს „ბანკის“ მენეჯმენტის მხრიდან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული რისკის აპეტიტის დოკუმენტით განსაზღვრული კოეფიციენტების, ლიმიტების და შეზღუდვების შესრულებას;
- iii. ზედამხედველობას უწევს კაპიტალისა და ლიკვიდობის მართვის სტრატეგიებს, ასევე ყველა სახის რისკს, როგორცაა საკრედიტო და საოპერაციო რისკები, საბაზრო და რეპუტაციული რისკები და ასევე სხვა სახის მნიშვნელოვანი რისკები, რათა ისინი შესაბამისობაში იყოს რისკის აპეტიტთან და რისკის კულტურასთან;
- iv. აფასებს, თუ რამდენად შეუძლია ზემოაღნიშნულ რისკებს „ბანკის“ ბიზნეს მოდელის, სამომავლო საქმიანობის, გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობისთვის საფრთხის შექმნა და „ბანკის“ სხვა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით იღებს შესაბამის ზომებს აღნიშნული რისკების მიტიგაციის უზრუნველსაყოფად;
- v. განიხილავს ანგარიშებს რისკის აპეტიტის დარღვევის შესახებ და დარღვევის აღმოსაფხვრელად წარმოდგენილი ზომების ადეკვატურობას;
- vi. განიხილავს რისკების მართვის ჩარჩოს ეფექტურობას და „ბანკის“ მხრიდან ახალი ტიპის რისკების იდენტიფიცირებისა და მართვის შესაძლებლობას;
- vii. ფინანსური და საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობისა და ლიკვიდურობის შეფასებისას განიხილავს სცენარულ შემთხვევებს (რომელიც მოიცავს ბიზნესის დაგეგმვის კუთხით არსებულ ეკონომიკურ და სხვა სახის სამომავლო რისკებს) და „ბანკის“ მენეჯმენტის მიერ დანერგილი სტრატეგების ეფექტურობას, განიხილავს და

- კრიტიკული მიდგომით აფასებს სტრეს ტესტების შედეგებს და იმ ზომებს, რისი მიღებაც შესაძლოა შეთავაზებული იქნას აღნიშნულ შედეგებთან მიმართებაში;
- viii. განიხილავს რისკის სტრატეგიებს როგორც აგრეგირებული, ისე ინდივიდუალური რისკების ჭრილში და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის რეკომენდაციებს აწვდის „სამეთვალყურეო საბჭოს“;
 - ix. განიხილავს კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესის ანგარიშს და რეკომენდაციებს წარუდგენს „სამეთვალყურეო საბჭოს“ დასამტკიცებლად;
 - x. ზედამხედველობს რისკების გამჟღავნებას;
 - xi. განიხილავს კიბერ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებს, ასევე ინფორმაციული უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველ მნიშვნელოვან, სერიოზულ, ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებულ რისკებს და რეკომენდაციებს წარუდგენს „სამეთვალყურეო საბჭოს“;
 - xii. ამოწმებს რამდენად ითვალისწინებს ანაზღაურების სისტემის წამახალისებელი ფაქტორები ბანკის რისკებს, კაპიტალს, ლიკვიდობას, შემოსავლების პროგნოზსა და დროში განაწილებას;

4.2. ანგარიშგებასთან დაკავშირებული ვალდებულებები

4.2.1. „კომიტეტი“ ახორციელებს შემდეგ ქმედებებს:

- i. „სამეთვალყურეო საბჭოს“ კვარტალში ერთხელ წარუდგენს რისკის მართვის ანგარიშს;
- ii. არანაკლებ ყოველწლიურად განიხილავს რისკის პოლიტიკებს და „სამეთვალყურეო საბჭოს“ წარუდგენს ანგარიშს საჭირო ცვლილებების შესახებ;
- iii. ამზადებს ანგარიშს „ბანკის“ რისკის მართვისა და რისკის სტრატეგიის, აღნიშნული მიმართულებით მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, სადაც აღინიშნება იდენტიფიცირებული მსხვილი რისკები. თუ ეს მოითხოვება კანონმდებლობით, ან „კომიტეტი“ ჩათვლის საჭიროდ, აღნიშნული ანგარიში შესაძლოა ჩართულ იქნას „ბანკის“ წლიურ ანგარიშგებაში;
- iv. განიხილავს მარეგულირებლის მიერ მიღებულ ისეთ გადაწყვეტილებებს, რაც ახდენს, ან შესაძლოა მოახდინოს გავლენა რისკის მართვაზე, ბიზნესის წარმართვაზე, რისკის შეფასებასა და რისკის მართვის პროცესებზე და რეკომენდაციას აძლევს „სამეთვალყურეო საბჭოს“ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ;
- v. ზედამხედველობას უწევს „რისკების დირექტორის“ მუშაობის ეფექტურობასა და მის მიუკერძოებლობას, აფასებს მისი მიღწევების ხარისხს და რეკომენდაციას აძლევს „სამეთვალყურეო საბჭოს“ „რისკების დირექტორის“ დანიშვნასთან, გათავისუფლებასთან და თანამდებობიდან გადადგომასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- vi. რეკომენდაციას აძლევს „სამეთვალყურეო საბჭოს“ ნებისმიერ ისეთ საკითხზე, რომელიც მიეკუთვნება მის კომპეტენციას და „კომიტეტი“ საჭიროდ თვლის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რაიმე ქმედების განხორციელებას;

5. კონფიდენციალურობა

„კომიტეტის“ წევრები და სხვა პირები, რომლებიც ესწრებიან „კომიტეტის“ სხდომას, ვალდებული არიან დაიცვან იმ ანგარიშებისა და დოკუმენტების კონფიდენციალურობა, რომელიც მათ მიიღეს

სხდომაზე, ასევე სხდომაზე არსებული განხილვებისა და შეფასებების შინაარსი, ისევე როგორც „ბანკის“ ყველა კონფიდენციალური ინფორმაცია და საიდუმლოება, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ბიზნეს და საოპერაციო ხასიათის ინფორმაცია, რომელიც მათთვის ხელმისაწვდომი გახდა სხდომაზე დასწრების შედეგად.

6. „კომიტეტის“ უფლებამოსილებები

6.1. „კომიტეტი“ უფლებამოსილია:

- i. მოსთხოვოს „რისკების დირექტორს“ ან დირექტორატს „კომიტეტისთვის“ ანგარიშის გაგზავნა საჭიროებიდან გამომდინარე, ან რეგულარულად, განსაზღვრული პერიოდულობით. უკანასკნელ შემთხვევაში „კომიტეტი“ თავად განსაზღვრავს პერიოდულობას, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს აღნიშნული ანგარიშის წარდგენა კაპიტალთან, ლიკვიდურობასთან, რისკებთან და დირექტორატისა და „კომიტეტის“ უფლებამოსილების სფეროში შემავალ სხვა საკითხებთან დაკავშირებით;
- ii. მოიძიოს, მოითხოვოს და მიიღოს „ბანკის“ ნებისმიერი თანამშრომლისგან ნებისმიერი ინფორმაცია, რაც აუცილებელია „კომიტეტისთვის“ დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად;
- iii. „ბანკის“ ხარჯზე მიიღოს კონსულტაცია იურიდიული და სხვა აუთსორს კომპანიებისგან, როგორც ამას „კომიტეტი“ ჩათვლის საჭიროდ, მათ შორის სამართლებრივი ან სხვა სახის პროფესიული კონსულტაცია ნებისმიერ საკითხზე;
- iv. მოითხოვოს „ბანკის“ ნებისმიერი თანამშრომლის დასწრება „კომიტეტის“ სხდომაზე როდესაც „კომიტეტი“ ჩათვლის საჭიროდ;
- v. იმსჯელოს და დაადგინოს, რომ დაკისრებული მოვალეობების ეფექტურად შესრულების მიზნით, „კომიტეტის“ ერთი ან რამდენიმე როგორც არსებული, ისე ახლად არჩეული წევრისთვის რეკომენდებულია შესაბამისი ტრენინგის ჩატარება. „კომიტეტის“ აღნიშნული გადაწყვეტილება „ბანკის“ მიერ უნდა შესრულდეს სათანადოდ და დროულად.

7. სხვა საკითხები

- 7.1. „კომიტეტს“ უნდა გააჩნდეს საკმარისი რესურსი იმისთვის, რომ სათანადოდ განახორციელოს დაკისრებული ვალდებულებები;
- 7.2. „კომიტეტმა“ პერიოდულად უნდა უზრუნველყოს საკუთარი საქმიანობის შეფასება და გონივრული ინტერვალების დაცვით, მაგრამ არანაკლებ ყოველწლიურად განიხილოს წინამდებარე დებულება, შეაფასოს მისი ეფექტურობა, ასევე იმ ინფორმაციის ხარისხობრივი მაჩვენებელი, რომელსაც „კომიტეტი“ იღებს მათ შორის „რისკების დირექტორისგან“ და წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციები „სამეთვალყურეო საბჭოს“;
- 7.3. რისკებთან დაკავშირებული საკითხების მონიტორინგისა და ზედამხედველობის განხორციელებისას „კომიტეტი“ უფლებამოსილია განიხილოს რისკების მაკონტროლებელი სტრუქტურული ერთეულების კომპეტენტურობა და მიუკერძოებულობა და შეაფასოს მათი ფაქტობრივი რესურსი და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რათა აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულებს გააჩნდეთ დაკისრებული ვალდებულებების ეფექტურად შესრულების შესაძლებლობა. „კომიტეტი“ ასევე მოწოდებული უნდა იყოს, დაამყაროს მყარი და ეფექტური თანამშრომლობა და კომუნიკაცია „კომიტეტს“, სხვა კომიტეტებს, შიდა კონტროლის მექანიზმებს, დირექტორატს და სხვა მაღალი დონის მენეჯერებს შორის, უზრუნველყოს მათთან შეხვედრების გამართვა, მათ შორის დამოუკიდებელი შეხვედრები დირექტორატთან, რა დროსაც შემუშავებულ

უნდა იქნას „კომიტეტისთვის“ და „სამეთვალყურეო საბჭოსთვის“ მოსამზადებელი რისკის ანგარიშების მოთხოვნები, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხობრივი და რაოდენობრივი თვალსაზრისით დაბალანსებული ინფორმაციის მიღებას.